

## ნ-სა და ლ-ს შემცველი კნინობითობის სუფიქსები ქართულ და ბერძნულ ენებში

ნ-სა და ლ-ს შემცველი სუფიქსები ბევრ ენაში დასტურდება და საინტერესოა, რომ ბერძნულ ენაში შემორჩენილ ფორმანტებს მიიჩნევენ წინარებერძნულად. ნ-სა და ლ-ს შემცველი სუფიქსები დამახასიათებელია როგორც ქართულისათვის, ასევე ბერძნულისათვისაც და მათ ძირითადად კნინობითობის ფუნქცია აქვთ.

### 1. სუფიქსი -უნ-ა

-უნ-ა ერთ-ერთი გავრცელებული პროდუქტიული სუფიქსია ქართულში. იგი გამოიყენება როგორც საზოგადო, ისე საკუთარი სახელების საწარმოებლად. მნიშვნელობით იგივეა, რაც -უკ-ა, მაგ.: ბიჭ-უნ-ა, გოგ-უნ-ა, ბოშ-უნ-ა (ზმ. რჭ. = გოგონა), ქუდ-უნ-ა, კრა(ვ)-უნ-ა, კვიც-უნ-ა და სხვ. საკუთარ სახელებთან: ტოპიშა — ტოპიშ-უნ-ა, არქიფო — არქიფ-უნ-ა, დავითა — დავით-უნ-ა, ამბაკო — ამბაკ-უნ-ა, ქიშვარდი — ქიშვარდ-უნ-ა, კალისტა — ალისტ-უნ-ა, კიმოთე — კიმოთ-უნ-ა, სიკო — სიკო-უნ-ა და სხვ. (ა. კობახიძე, 1962, გვ. 159).

რთული მაწარმოებელი -უნ-ა რამდენიმე სახელში გვხვდება: კაც-უნა, ბიჭ-უნა, გოგონა (<გოგო-უნა < გოგო-უნა), კოლონა (კოლო-უნა < კოლო-უნა), დათ-უნა (<დათ-უნა), ჩიტ-უნა, თაგ-უნა, კატ-უნა (კატ-უნია), ციც-უნა (ციც-უნია), ვაც-უნა, წაღ-უნა. კაცის სახელები: პაპ-უნა, გლაბ-უნა (ა. შანიძე, 1955, გვ. 73).

ა. შანიძეს შენიშნული აქვს -უნ-ა-სა და -უკ-ა-ს პარალელურად ხმარების შემთხვევები ანთროპონიმებში: გლაბ-უნა // გლაბ-უკ-ა და ა.შ. (იქვე, გვ. 28).

ისევე, როგორც მრავალი ენათმეცნიერი, ალ. დლონტიც თვლის, რომ კნინობითობის მაწარმოებელი -უნ-ა ფუნქციურად -უკ-ა ელემენტის ტოლფარდია. ისინი უპირატესად ერთ ვარიანტადაა რეალიზებული: ბაბ-უნა, დედ-უნა, ციც-უნა, ფაჩ-უნა, თაკ-უნა და მისთ. ბაბ-, დედ-, ციც-, ფაჩ-, თაკ- და ა.შ. რომ ანთროპონიმთა ფუძეებია, ჩანს გვარსახელებიდანაც (შდრ.: ბაბ-უნა-შვილი, დედ-უნა-შვილი, ფაჩ-უნა-შვილი, თაკ-უნა-შვილი...), მაგრამ მათი სემანტიკა უცნობია, თუმცა აპელატივთა როლს რომ ასრულებენ, ეს უდავოა (ალ. დლონტი, 1986, გვ. 27).

ა. კობახიძე თვლის, რომ -უნ-ა სუფიქსის გამოყენება რამდენადმე უფრო შეზღუდულია, ვიდრე -უკ-ა სუფიქსისა. კერძოდ, -უნ-ა რატულ დიალექტში იხმარება სონორი თანხმოვნების (ლ, მ, ნ, რ) შემდეგ, ზოგჯერ მის ადგილს -უკ-ა სუფიქსი იჭერს. სხვა შემთხვევაში რაიმე მყარი კანონზომიერება არ ჩანს მათს გამოყენებაში. ერთისა და იმავე თანხმოვნის შემდეგ ერთი იხმარება და მეორეც. შდრ.: კატა — კატ-უნ-ა და ანეტა — ანეტ-უკ-ა; ბიჭი — ბიჭ-უნ-ა და ჭაჭა — ჭაჭ-უკ-ა; თითი — თით-უკ-ა და კალათი — კალათ-უნ-ა (//კალათ-უკ-ა); ბაყაყი — ბაყაყ-უნ-ა და არაყი — არაყ-უკ-ა და ა. შ. როგორც აღვნიშნეთ, ლ, მ, ნ, რ თანხმოვნების შემდეგ ჩვეულებრივ -უკ-ა სუფიქსი იხმარება. სამაგიეროდ, ხშულ გ. ქ, კ თანხმოვანთა შემდეგ მხოლოდ უნ-ა სუფიქსი გვხვდება (ა. კობახიძე, 1962, გვ. 159).

-უნ-ა სუფიქსი გვხვდება, აგრეთვე, ხვესურულში (ვაჟ-უნა), მთიულურში (ვაც-უნა, გუდ-უნა), თუშურში (ვაც-უნ-აც-ი // ვაც-უნ-ი, ცოტ-უნ-აც // ცეტ-უნ-აც), მთარაჭულში (ლეკ-უნ-ა, კეტ-უნ-ა, ქედ-უნ-ა (მ. ტუსკია, 2004, გვ. 138-186).

ბერძნულის სუფიქსი -οὔν-α მიღებულია საშუალი სქესის დაბოლოება -οὔν-α-სა და გამაზვიადებელი სუფიქსი -α-ს შეერთებით, ან იტალიური -oni-ს შესატყვისია, წერენ Κ. Μηνά, Α. Τσιπανάκη-ი. ძვ. ბერძნულში - -ων — ωνος > ὶν

- ion და იტალიურში - -one - on - ion: ραθών-ion, mill-one (A. Τσοπανάκης, 647; K. Μηνά, 106). მაგ.:

ბერძნულში: βαζ-όνι - βαζ-ούνα, μαϊμ-όνι - μαϊμ-ούνα .

იტალიურში: bastone, ბერძნ. - μαστ-όνιν - μαστ-ούνα.

იტალიურში: papaverone, ბერძნ. - παπαρ-ούνα.

იტალიურში: taccone, ბერძნ. - τακ-όνι, τακ-ούνα.

სუფიქსი -ούνα ახალ ბერძნულში დამოუკიდებლად გვხვდება უკვე კნინობითობის მაწარმოებლად შემდეგ არსებით სახელებში: αχλάδι — αχλάδ-ούνα (მსხალი), γαλάτι — γαλατ-ούνα (რძე) და სხვ. (K. Μηνά, 106, 108).

მოძიებულმა ლიტერატურამ ცხადყო ქართულისა და ბერძნულის სუფიქსის -უნა (-ούνα)-ს ფონოლოგიური და სემანტიკური თანხვედრა. სავარაუდოდ, მათი მსგავსება მხოლოდ შემთხვევითი არ ჩანს, არამედ მათი წარმოშობის საერთო წყარო იტალიური უნდა იყოს ან ბერძნულის გავლით დამკვიდრდა ქართულსა და მის დიალექტებში.

2. ლ და მისი სხვადასხვა ხმოვნიანი ვარიანტი: -ილა, -ელა, -ულა საალერსო-მოფერებით სახელთა საწარმოებლად ქართულში ასევე პროდუქტიულია -ილ-ა, -ელ-ა, -ულ-ა ელემენტები.

ქართული ენის დიალექტებშიც კნინობითობის ეს სუფიქსები საკმაოდ პროდუქტიულია: მთიულურში (კინტ-ულ-ა, კოჭ-ულ-ა), თუშურში (გორ-ილ-აც-ი), აჭარულში (ნენ-ელ-ა, დედ-ელ-ა) (მ. ტუსკია, 2004, გვ. 138-184).

ახალ ქართულამდე რა გზით არის შოლწეული ეს სუფიქსი, ჩვენთვის დაუდგენელია. თუმცა, ჩვენს ხელთ არსებული წყაროების მიხედვით, -ალ სიტყვათსაწარმოებელი სუფიქსი აღდგება საერთო ქართველურ დონეზე (მ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, 2000, გვ. 81).

ა) -ილ-ა: დედ-ილ-ა, კიკ-ილ-ა, ქიქ-ილ-ა, ხუხ-ილ-ა... (მდრ.: კიკ-ილ-ა-შვილი, ხუხ-ილ-ა-შვილი და მისთ. გვარსახელები);

ბ) -ელ-ა: ძამ-ელ-ა-შვილი, ფეფ-ელ-ა-შვილი, ჭეჭ-ელ-ა-შვილი...). -ელ-ა დამცირების სახელსაც აწარმოებს: კაც-ი-ა - კაც-ი-ელ-ა; გოგ-ი-ა — გოგ-ი-ელ-ა და ა.შ. არაიშვიათია ორმაგი -იკ-ელ-ა სუფიქსის ხმარებაც, რაც უფრო კილო-თქმებში დასტურდება: პეტრ-იკ-ელ-ა (უნდა ყოფილიყო პეტრე-იკ-ელ-ა), დათ-იკ-ელ-ა (უნდა ყოფილიყო დათ-იკ-ა-ელ-ა, მდრ. გვარსახელი: დათ-იკ-ა-შვილი), შალ-იკ-ელ-ა (უნდა ყოფილიყო: შალ-იკ-ა-ელ-ა, მდრ. გვარსახელი: შალ-იკ-ა-შვილი), მას-იკ-ელ-ა, მარ-იკ-ელ-ა და მისთ. (ალ. ლლონტი, 1986, გვ. 27).

სუფიქსი -ούληჲ, მიუხედავად იმისა, რომ ახალ ბერძნულში ძირითადად კნინობითობის გამოსახატავად გამოიყენება, მისი ფუნქცია მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება და იგი იშვიათად, მაგრამ მაინც, გამაზვიადებლობის ელფერს აძლევს საგანს.

სუფიქსი -ούληჲ გამოიყენება მამრობითი სქესის (არსებით, ზედსართავ და საკუთარ) სახელებში: πατερούληჲ, ο εαυτ-ούληჲ (μου, σου, του), θεουληჲ, μικρούληჲ, Τασουληჲ ხოლო -ούლა — მდებრობითისაში გამოიყენება: αυγ-ούლა, βεργ-ούლა, καρδ-ούლა, Δημητρούლა, Γιαννούლა და სხვ. (M. Τριανταφυλλίδη, 125, K. Μηνά, 78, ძ ა, 19, A. Τσοπανάκης, 646).

-ოსლ-ბჲ (მამრ. სქ.), -ბჲ (მდებრ. სქ.), -ბ (საშ. სქ.) სუფიქსები სხვადასხვა სქესში ძალიან პროდუქტიულია ზედსართავ სახელებშიც, რომელიც აზვიადებს ძირითად ზედსართავს და გამოხატავს საგნის სიდიდეს, ფერს და სხვ.: βαθ-ოსლბჲ, βαθ-ოსლბჲ, βαθ-ოსლბ; μακρ-ოსლბჲ, μακρ-ოსლბჲ, μακρ-ოსლბ; νερ-ოსლბჲ, νερ-ოსლბჲ, νερ-ოსლბ; παχ-ოსლბჲ, παχ-ოსლბჲ, παχ-ოსლბ; φαρδ-ოსლბჲ, φαρδ-ოსლბჲ, φαρდ-ოსლბ და სხვ.

-**αλα** მიღებულია მდგერ. სქესის არსებითი სახელის დაბოლოებას დამატებული სუფიქსი -**α** (მაგ.: γιάλι > γιάλα, κώταλις > κουτάλ-α, μπουκάλ-α და სხვ.) და დროთა განმავლობაში მსგავსადვე წარმოიშვა გამაზვიადებელი სუფიქსი -**αλα**: κουφ-άλα, πειν-άλα და სხვ.

რ. გორდენიანის, ი. დარჩიასა და ს. შამანიდის განმარტებით, -**έλι** სუფიქსი მიღებული უნდა იყოს ძველ ბერძნულ სახელთა ფუძისეული -**ελλ-** + -**ιον** და ლათინური -**ellum** სუფიქსისგან. მაგალითად: μαρβ - μαρ-έλι (რ. გორდენიანი, ი. დარჩია, ს. შამანიდი, 1955).

ჩვენს ხელთ არსებული წყაროებიდანაც აშკარა ხდება, რომ სუფიქსი -**έλι** (γαρδ-έλι (=καρδεδίνα), καρβ-έλι, κουβ-έλι (=κυψέλι), μαρουδ-έλι.) ისევე როგორც -**ούλης**, -**ούλα**, -**ούλι** სუფიქსები, ლათინურიდან უნდა მომდინარეობდნენ, რადგანაც -**ulus**, -**ulla**, -**illum** დაბოლოებები წმინდა ლათინურია და გვხვდება შემდეგ სიტყვებში: amarulus, cuculla, gula, phaseolus, რომელთაგანაც გამოიყო დაბოლოება -**u(l)us**, -**u(l)la**, -**u(l)l-oum**, და შემდეგ გაჩნდა ბერძნულში: (α)μαρ-ούλι, κουκ-ούλα, κουκ-ούλι, φασ-ούλι, γ-ούლა, προγ-ούλι, γ-ουλί. ბერძნულში -**ούλι**-მ შეიძინა გამაზვიადებელი მნიშვნელობაც: **ούλι** - (ιον-ιουλιον) - **γι-ούλι**, (κάρυ-ον-ούλι)-**καρ-ούλι**, (κάψ-α)-**καψ-ούλι**, (κρυφ-ό)-**κρυφ-ούλι**, (σάκκ-ος)-**σακκ-ούλι**, χερούλι. αβγούλι - (კრეტა); ανδροπούλι (კარპათო); Κατσούλι - (კორსიული); σακκούλι (კრეტა) (Α. Τσοπανάκης, 1998, 647).

**N. Αντριώτης** მიუთითებს, რომ -**ούლა**, -**ούλης**, -**ούλι** < **ούλιον** (δενδρ-ούλιον) ახალ ბერძნულში შემოსული უნდა იყოს ძველი ბერძნულის -**ύλιον**-იდან (δενδρ-ύλιον), მანამდე კი ლათინურის -**ullus** ფორმიდან (N. Αντριώτης, 1995, 254).

**A. Τσοπανάκης** აღნიშნავს, რომ ამ სუფიქსებს, გარდა მათი სავარაუდო ლათინური წარმოშობისა, შესაძლოა ბარალელურად ძველ ბერძნულთანაც ჰქონდეთ საერთო. მაგ., -**ύλιον** სუფიქსმა შესაძლოა დროთა განმავლობაში იცვალა სახე და გახდა -**ούλι(ον)** და ასეც შემორჩა. ეს აზრია შენარჩუნებული, აგრეთვე, კნინობითობის სუფიქსზე -**όπουλα**, -**οπουλα**, სადაც ორი ლამდა (λλ) ჯერ კიდევ შემორჩენილია ახალი ბერძნულის აღმოსავლეთ და სამხრეთ დიალექტებში და კუნძულ კვიპროსზეც. ასევე სავარაუდოდ მიგვაჩნია კნინობითობის სუფიქსის -**έλι**-ს წარმომავლობაც. აღბათ, ყველაფერი დაიწყო ძვ. ეოლიკური კნინობითობის მაწარმოებელიდან -**ύλιον**. სხვა არსებითი სახელები, რომლებიც ბოლოვდებიან -**έλι**-ზე, βαρέλι, κοπέλι, κουνέλι, κουρέλι, παστέλι, πιჯέლი, τριβέλι - არ არიან კნინობითები, არამედ არიან სიტყვები, რომლებიც ძირითადად შემოსულნი არიან ლათინურიდან, იტალიურიდან (baril-e, coppell-[a], conigli-o, correll-um, pastel-l-o, pis-ell-o, scut-ell-a, ლათინურიდან - tereb-ell-um) და თურქულიდან (cengel). ზოგიერთი მათგანი ბერძნულში დამკვიდრდა კნინობითობის დაბოლოებითვე, როგორც, მაგალითად: το καπέλο (cappello), το κοκκιν-έλι (υποκόκκινο κρασί), ბერძნულის გავლენაა არსებით სახელში - το παιδ-αρ-έλι, კნინობითი არსებითი სახელისა - παιδ-άρ-ιο (Α. Τσοπανάκης, 1998, 649-650).

ამგვარად, ქართულ-ბერძნული სუფიქსი -**ულა** (-**ούλης**, -**ούლა**, -**ούლი**, -**αλα**) ფონოლოგიურად ანუ მატერიალურად მსგავსია, მაგრამ ფუნქციონალური თვალსაზრისით, გარდა საალერსო-მოფერებითობისა, სხვადასხვა მნიშვნელობაზე აქვს. კერძოდ, ქართულში მათ არსებითი სახელის საალერსო-მოფერებითი ან დამამკვირვებელი ფუნქცია აქვთ; ბერძნულში ეს სუფიქსები, გარდა არსებითი სახელებისა, ზედსართავებშიც გვხვდება და, ბუნებრივია, იცვლება მათი ფუნქციონალური არეც. ისინი გამოხატავენ ერთ შემთხვევაში მოფერებით-საალერსო ან მაკნინებელ ფორმებს, მეორე შემთხვევაში კი - საგნის სიდიდე-გამაზვიადებლობას.

## ლიტერატურა

- რ. გორდეზიანი... 2001 - რ. გორდეზიანი, ი. დარჩია, ს. შამანიდი, ძველი და ახალი ბერძნული (შედარებითი გრამატიკა), თბ., 2001.
- ა. კობახიძე, 1962 - კინოზოთის წარმოება რატულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XIII, თბ., 1962.
- მ. ტუსკია, 2004 - მ. სახელთა აფიქსური წარმოება ახალ სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში, თბ., 2004.
- მ. ფენრიზი, ზ. სარჯველაძე, 2000 - მ. ფენრიზი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2000.
- ალ. ლლონტი, 1986 - ალ. ლლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986.
- ა. შანიძე, 1955 - ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, 1, თბ., 1955.
- ΑΝΤΡΙΩΤΗΣ Ν., ΕΤΥΜΟΛΟΓΙΚΟ ΛΕΞΙΚΟ ΤΗΣ ΚΟΙΝΗΣ ΝΕΟΕΛΛΗΝΙΚΗΣ, ΘΕΣΣΑΛΟΝΙΚΗ, 1995.
- ΜΗΝΑ Κ., Η ΜΟΡΦΟΛΟΓΙΑ ΤΗΣ ΜΕΓΕΘΥΝΣΕΩΣ ΣΤΗΝ ΕΛΛΗΝΙΚΗ ΓΛΩΣΣΑ, ΙΩΑΝΝΗΝΑ, 1978.
- ΤΡΙΑΝΤΑΦΥΛΛΙΔΗΣ Μ., ΝΕΟΕΛΛΗΝΙΚΗ ΓΡΑΜΜΑΤΙΚΗ, ΘΕΣΣΑΛΟΝΙΚΗ, 2000.
- ΤΣΟΠΑΝΑΚΗΣ Α., ΝΕΟΕΛΛΗΝΙΚΗ ΓΡΑΜΜΑΤΙΚΗ, 1998.

## MAIA KUKCHISHVILI

PEJORATIVE SUFFIXES CONTAINING /n/ AND /l/  
IN GREEK AND GEORGIAN

Suffixes containing /n/ and /l/ are common in Georgian and Greek languages and they mainly perform pejorative functions; The analyzed texts manifested that -una- and (-ούλα) suffixes in words of both languages reveal phonological and semantic parallelisms. Presumably, their similarity should not be considered as mere coincidence but have common source of origin in the Italian language or it could have established in the Georgian dialects through Greek.

Georgian and Greek suffix -ul-a (-ούλης, -ούλα, -ούλι, -αλα) are identical in terms of phonological, i.e. material representation but functionally they also fulfill other functions, apart from conveying familiarity, namely, caressing or diminishing meanings. In Greek these suffixes occur not only in nouns but in adjectives as well and here, naturally, they change their function. In one instance they denote caressing or diminishing meanings in the other they indicate exaggeration of the object dimensions.